საქართველოს ფოლკლორის ეროვნული

ფესტივალი 2015-2016

რეკომენდაციები ფესტივალის მონაწილეთათვის

- *ავთენტიკური ფოლკლორული ჯგუფები* – სინკრეტულად, ერთობლიობაში წარმოაჩენენ თავისი კუთხის ავთენტიკურ ფოლკლორულ ტრადიციებს (სიმღერას, ცეკვას, ქმედებას, საკრავს და ა. შ.); უმეტესად ეს არის სოფლის მცხოვრებთა ჯგუფი, რომელსაც არა ჰყავს ლოტბარი და არც რომელიმე კულტურულ თუ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან არსებობს, არამედ, ორგანულად მატარებელია თავისი კუთხის ფოლკლორული ტრადიციებისა და ბუნებრივ ყოფაში ინახავს მათ. ფესტივალზე ავთენტიკური ჯგუფები, შეძლებისამებრ, წარმოადგენენ ათ ფოლკლორულ ნიმუშს, რომელთაგან ჟიური, შეხედულებისამებრ, გამოარჩევს ორს ან სამს.

- *ხალხური სიმღერის, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები* – უპირატესობას ანიჭებენ თავიანთი კუთხისა და რაიონის ტრადიციულ რეპერტუარს; იცავენ ხალხური სიმღერის კუთხურ საშემსრულებლო მანერასა და შესრულების ფორმას: ორპირულობას – ორ გუნდად ან ტრიო-გუნდის მონაცვლეობით; წამყვან ხმებს მღერის თითო სოლისტი; ყველა სიმღერას ჰყავს ერთი დამწყები; საფერხულო სიმღერა სრულდება ფერხულით; ცეკვა და სიმღერა ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს. ანსამბლები ფესტივალზე წარმოადგენენ ათ ფოლკლორულ ნიმუშს, რომელთაგან ჟიური, შეხედულებისამებრ, გამოარჩევს ორს ან სამს.

- *ქორეოგრაფიული ანსამბლები* – წარმოადგენენ ორ-სამ ქართულ ფოლკლორულ და ხალხურ სასცენო ცეკვას: სოლოს, ჯგუფურს, მასობრივს – ამათგან ერთ-ერთს, აუცილებელად, თავისი კუთხისთვის დამახასიათებელს. ანსამბლებმა უნდა დაიცვან ქართული ხალხური ცეკვისთვის დამახასიათებელი კუთხური თავისებურებანი: მოძრაობები, ხასიათი და საშემსრულებლო მანერა, ტრადიციული წეს-ჩვეულებანი, ცეკვის სასცენო დამუშავების (დადგმის) მხატვრული კანონზომიერება. ყურადღება უნდა მიექცეს შესრულების ტექნიკას, სინქრონს, ეროვნულ სამოსს. დაუშვებელია ერთი კუთხისთვის დამახასიათებელი კოსტიუმის, საცეკვაო ლექსიკის, მუსიკის მეორეში აღრევა და გამოყენება (მთიულური – მოხეურში, ფშაური – ხევსურულში, თუშურში და სხვა), ყურადღება უნდა მიექცეს ქართულ ტრადიციულ ფერებსა და მათ

ურთიერთშეხამებას. დაუშვებელია ფონოგრამის გამოყენება. სასურველია, ცეკვა შესრულდეს ხალხური საკრავებით ან შესაბამისი სიმღერით.

- *საოჯახო ანსამბლები* – წარმოადგენენ გემოვნებით შერჩეულ რეპერტუარს, ათამდე საშემსრულებლო ნიმუშს, რომელთაგან ჟიური გამოარჩევს ორს ან სამს.

- *ინდივიდუალური შემსრულებლები* (საკრავის თანხლებით და უთანხლებოდ) – ასრულებენ ფოლკლორულ ნიმუშებს; იყენებენ ტრადიციულ (დიატონურ) ხალხურ საკრავებს. ფესტივალზე წარმოადგენენ სამზე მეტ ნიმუშს, რომელთაგან ჟიური, შეხედულებისამებრ, რამდენიმეს გამოარჩევს.

- *მგალობელთა ჯგუფებს* მოეთხოვებათ ათი ტრადიციული საგალობლის წარდგენა, რომელთაგან ჟიური შეარჩევს ორ ან სამ ნიმუშს.
  აღმოსავლეთ საქართველოს მგალობელთა გუნდებმა უნდა წარმოადგინონ, უმეტესად, ქართლ-კახური სკოლის საგალობლები (შესაძლებელია, ერთი-ორი ნიმუში სხვა სკოლებისაც - გელათის ან შემოქმედის).
  დასავლეთ საქართველოს (გურიის გარდა) მგალობელთა გუნდებმა უნდა წარმოადგინონ უმეტესად გელათის სკოლის საგალობლები (შესაძლებელია, ერთი-ორი ნიმუში ქართლ-კახური ან შემოქმედის სკოლისა).
  გურიის რეგიონის მგალობელთა გუნდებმა უნდა წარმოადგინონ, ძირითადად, შემოქმედის სკოლის საგალობლები (შესაძლებელია, ერთი-ორი ნიმუში ქართლ-კახური ან გელათის სკოლისა).

- *მთქმელები, ავტორმთქმელები, შემკრებნი* – ყურადღებას აქცევენ და წარმოაჩენენ ზეპირსიტყვიერების ყველა დარგს: პოეზიას (ყველა ჟანრი), ზღაპარს, მითს, ლეგენდას, ანდრეზს, თქმულებას, თამაშობებს, შელოცვებს, წყევლის, დალოცვის, დატირების ნიმუშებს, საკულტო ტექსტებს, ავტორ-მთქმელთა ლექსებს, სახალხო ისტორიებს, ანდაზებს, გამოცანებს, ყბის საქცევებს, ანეკდოტებს და სხვა.

- *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ხალხურ საკრავთა ოსტატები* – დათვალიერება-ფესტივალზე წარმოადგენენ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა დარგს: ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, მეთუნეობა; ლითონის (საიუველირო ნაწარმი, ჭედურობა, იარაღი, ქამარ-ხანჯალი, ცხენის აღკაზმულობა), ხის, ქვის, ძვლის, ტყავის (ავეჯი, საოჯახო და დეკორატიული ნივთები, ხალხური საკრავები) მხატვრული დამუშავება; წნული; ქსოვა-ქარგულობა და ხატოვანი ქსოვილები (ხალიჩები, ფარდაგები, გობელენები, ლურჯი სუფრები, ნაქარგობანი, საგებელ-საფარებლები, ჯეჯიმი, ჭილოფი, თექა, ნაბადი, ეროვნული ტანსაცმელი, თავსაბურავი), ფეხსამოსი (წინდები, ჩითები, ქალამნები), თოჯინები, ორიგინალური ჟანრი (თანამედროვე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები არაორდინარული მასალის გამოყენებით: ნიჟარები, ბუმბული, აბლაბუდა, მცენარის თესლები, ხის ქერქი, თევზის ფხა და სხვა).